



კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის მაესტროს თანამშრომლების შრომითი ურთიერთობის შეჩერებას ეხმაურება

კოალიცია სწავლობს ტელეკომპანია „მაესტროს“ 32 თანამშრომლისათვის შრომითი ხელშეკრულების შეჩერების საკითხს. ამ დროისათვის დასტურდება, რომ 2016 წლის 02 ივნისს, ტელეკომპანია „მაესტროს“ დირექტორის გადაწყვეტილებით, შრომითი ურთიერთობა შეუჩერდათ ტელეკომპანია „მაესტროს“ ოთხ თანამშრომელს. შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლად მათი 31 მაისს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „არჩევანში“ მონაწილეობა სახელდება. როგორც გავრცელებულ წერილშია მითითებული, არხის ხელმძღვანელი „ყოვლად დაუშვებლად“ მიიჩნევს მენეჯმენტთან შეუთანხმებლად მოქმედმა თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღონ კონკურენტი ტელეკომპანიის ან ტელეკომპანიების „თოქშოუებში“, სადაც „მაესტროს“ საქმიანი რეპუტაციის შემლახავი და მისი კომერციული ინტერესების დამაზიანებელი განცხადებები კეთდება. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ტელეკომპანია „მაესტროს“ დაიწყო „შიდა სამსახურებრივი მოკვლევა“, ხოლო მოკვლევის დასრულებამდე 4 თანამშრომელს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილება შეუჩერა. იმავე დღეს, ტელეკომპანიის დირექტორის ბრძანებით, გადაცემების - „ბიზნეს კონტაქტის“, „ანალიტიკისა“ და „საქმიანი დილის“ 32 თანამშრომელს (მათ შორის იმ ოთხ თანამშრომელს, რომელთა მიმართებითაც უკვე იყო მიღებული შეჩერების შესახებ

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



გადანყვეტილება შიდა სამსახურებრივი მოკვლევის საფუძვლით) შეუჩერდა შრომითი ურთიერთობა. აღნიშნულის საფუძვლად დამსაქმებელი თანამშრომლები გაფიცვას ასახელებს.

აღსანიშნავია, რომ თავად თანამშრომლებს არ გამოუყენებიათ გაფიცვის უფლება და ამის შესახებ არ უცნობებიან დამსაქმებლისათვის, ამდენად, გაუგებარია ტელეკომპანიამ საკუთარი ინიციატივით როგორ ჩათვალა დასაქმებულები გაფიცულებად.

ამ დროისათვის შესწავლილი ფაქტები ბადებს ეჭვს, რომ ტელეკომპანიის მხრიდან შრომითი ურთიერთობების შეჩერება განხორციელდა კანონმდებლობის დარღვევით. ამასთან, განვითარებული მოვლენებიდან იკვეთება არამხოლოდ შრომითი უფლებებისა დარღვევისა და გამოხატვის თავისუფლების ხელყოფის მაღალი ალბათობა, არამედ ასევე, საფუძვლიანი ეჭვი, რომ აღნიშნული ქმედებები წარმოადგენს მცდელობას, რომ წინასაარჩევნოდ, მედია სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული ინფორმაციულ-ანალიტიკური გადაცემების სარედაქციო პოლიტიკაში მოხდეს უხეში ჩარევა. ეს კი თავის მხრივ, შეუზღუდავს მოქალაქეებს მრავალფეროვან, ობიექტურ და კრიტიკულ ინფორმაციაზე წვდომას და შესაბამისად, მნიშვნელოვნად დააზიანებს წინასაარჩევნოდ მედია გარემოს და საბოლოო ჯამში - საქართველოს დემოკრატიულ პროცესებს.

მედია კოალიცია კვლავაც დააკვირდება ამ ფაქტთან დაკავშირებულ მიმდინარე მოვლენებს და საზოგადოებას დამატებით ინფორმაციას მიაწვდის უახლოეს მომავალში.